საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/4039-17

"17" 11 2017 წ.

შპს „iCONNECT"-ს

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2017 წლის 16 ნოემბერს ჩანიშნული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომა გადატანილ იქნა 2017 წლის 30 ნოემბერს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18. აღნიშნულ სხდომაზე განიხილება შპს „iCONNECT"-ისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და ლ) ქვეპუნქტების, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის №12 დადგენილების და კომისიის 2017 წლის 3 აგვისტოს N520/18 გადაწყვეტილების - „შპს „iConnect"-ისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე" დარღვევის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტის 2017 წლის 2 ოქტომბრის N10/7537-17 მოხსენებითი ბარათი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2017 წლის 10 ნოემბერი. გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში.

<u>დანართი:</u>

1. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო დეპარტამენტის 2017 წლის 2 ოქტომბრის N10/7537-17 მოხსენებითი ბარათი - 7 ფურცელი.

ნ. ჯანელიძე

ნ. ჯანელიძე

კომისიის ადმინისტრაციის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

ბ-ნ ვ. ბერიას

გთხოვთ, უზრუნველყოთ შესაბამისი რეაგირების ორგანიზება

კ. ბექაური
02.10.2017წ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს,
ბატონ კახი ბექაურს

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის,
ნათია დევდარიანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო კახი,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მცდელობის მიუხედავად შპს "Iconnects"-ს ვერ ჩაბარდა კომისიის 03 აგვისტოს N520/18 გადაწყვეტილება „შპს „iConnect"-სთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე". შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მიზნით აღნიშნული გადაწყვტილების დამოწმებული ასლი 2017 წლის 15 სექტემბერს საჯაროდ გამოქვეყნდა კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

შპს „Iconnects"-ს კომისიის 03 აგვისტოს N520/18 გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგაც, არ შეუსრულებია გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით დაკისრებული ვალდებულება. კერძოდ,

2. უზრუნველყოს შპს „iConnect"-მა 10 სამუშაო ვადაში რეგულირების საფასურის დავალიანების - 1,245.32 ლარის, კომისიის ანგარიშზე ჩარიცხვა.

ასევე გაცნობებთ, რომ დღეის მდგომარეობით კომისიაში წარმოდგენილი რეგულირების საფასურის გაანგარიშებების შესაბამისად, კომპანიას გააჩნია რეგულირების საფასური დავალიანება 1,268.91 ლარი.

გთხოვთ, წარმოდგენილი ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეთ კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს.

დანართი: 7 ფურცელი.

პატივისცემით,

ნათია დევდარიანი
02/10/2017

10/4537/17
2 10 17
17

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

შეტყობინება შპს "iConnect"-ს

სექტემბერი 18, 2017 10:45

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ბრძ ერთი შეხედულებით ბოლოსდებულ შპს "iConnect"-ს ვერ ჩაბარდა **კომისიის 2017 წლის** 8 აგვისტოს N620/18 გადაწყვეტილება -„შპს „iConnect"-სთვის ინფორმაციულ პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე". ზემოაღნიშნულ, კომისიის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის ზღვრული ოფიციალური გადაწყვეტილების დაბეჭდვის ან/და სანკციონირ შესაბამისად კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე.

თანდართული დოკუმენტები:

© საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

დამზადებულია ITDC -ში

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№03/2426-17

"11" 08 2017 წ.

შპს „iConnect"-ს

გიგზავნით, „შპს „iConnect"-სთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2017 წლის 3 აგვისტოს N 520/18 გადაწყვეტილების დამოწმებულ ასლს.

დანართი: 5 ფურცელი. 1 ეგზ.

კომისიის ადმინისტრაციის უფროსი — იოსებ ხარებავა

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჟორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გადაწყვეტილება №520/18

ქ.თბილისი

"3" აგვისტო 2017 წ.

შპს „iConnect"-ისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

I. აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათის (N10/4618-17, 20.06.2017) საფუძველზე, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, კომისიაში დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება შპს „iConnect"-ისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და ლ) ქვეპუნქტების, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის და „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის №12 დადგენილების დარღვევის გამო.

კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ შპს „iConnect"-ს კომისიის წინაშე ერიცხება დაგვალიანება 1,231.83 ლარი, რაც კომპანიის მიერ კომისიაში წარმოდგენილი რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმებიდან დადგინდება.

შპს „iConnect"-ისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განხილვა დაინიშნა 2017 წლის 27 ივლისს, 15:00 საათზე, რის თაობაზეც კომპანიას ეცნობა წერილობითი შეტყობინებით (03/2485-17), რომელიც მას გაეგზავნა მის მიერ კომისიაში წარმოდგენილ იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართებზე. შეტყობინებით, შპს „iConnect" მიწვეულ იქნა ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად და განემარტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლებით გათვალისწინებული მტკიცებულებებისა და წუმდგომლობების წარმოდგენის, აგრეთვე საქმის გარემოებათა გამოკვლევისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოთხოვის უფლება.

კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გადმოეცა კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის სამსახურებრივი ბარათი (19.07.17, N10/5368-17), რომლის შესაბამისად ირკვევა, რომ შპს „iConnect"-ს 2017 წლის 19 ივლისის მდგომარეობით, კომისიაში წარმოდგენილი აქვს რეგულირების საფასურის გაანგარიშებები (2017 წლის ივნისის ჩათვლით, გარდა 2014 წლის მაისი თვის), რის საფუძველზეც კომპანიას კომისიის წინაშე ერიცხება დაგვალიანება - 1245, 32 ლარი.

კომისია აღნიშნავს, რომ საკითხის განხილვა გადაიდო 2017 წლის 27 ივლისს. კომისიის სხდომაზე არ გამოცხადდა შპს „iConnect" -ის წარმომადგენელი, მიუხედავად სხდომის გამართვის თაობაზე წერილობითი შეტყობინების ჩაბარების დაქტი არ

სწორია

11. 08. 2017

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოქაულის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625, ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაებას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. გამომდინარე აქედან, კომისიამ გადაწყვიტა საკითხის განხილვა 2017 წლის 3 აგვისტოს.

კომისიის 2017 წლის 3 აგვისტოს სხდომაზე არ გამოცხადდა შპს „iConnect" -ის წარმომადგენელი და არც მისთვის სხდომის გამართვის თაობაზე წერილობითი შეტყობინების ჩაბარების ფაქტი არ დადასტურდა, მიუხედავად იმისა, რომ კომისიის შეტყობინება (№03/2580-17; 28.07.2017) სხდომის გადადების თაობაზე გადაგზავნილ იქნა, როგორც კომპანიის იურიდიულ მისამართზე (სამეგრელოს ქ.32, ფოთი), ისე კომპანიის ფაქტობრივ მისამართზე (ვარკეთილი, წულუკიძის მე-2 შესახ. კორპუსი 10, ბინა N25) ასევე, შეტყობინება შპს „iConnect"-ისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და საკითხის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ განთავსდა კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (http://gnco.ge/ge/news/shetyobinebebi/shetyobineba-rhps-new-nec-page).

შეტყობინების კომპანიის იურიდიულ და ფაქტობრივ მისამართზე გაგზავნით, ასევე საჯაროდ გამოქვეყნებით კომისიამ უზრუნველყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მოთხოვნა დაინტერესებული მხარის ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, კომისია უფლებამოსილია გაანხილოს საკითხი შპს „iConnect"-ის წარმომადგენლის დაუსწრებლად.

II. გამოკვლეული მტკიცებულებები

1. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათი (N10/4618-17; 20.06.2017);
2. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან შპს „iConnect" -ის შესახებ მოწაცემები;
3. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოხსენებითი ბარათი (10/5368-17; 19.07.2017) შპს „iConnect"-ის დაზუსტებული დავალიანების შესახებ.

III. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

1. შპს „iConnect"-ი წარმოადგენს ავტორიზებულ პირს (ავტორიზაციის თარიღი: 2011 წლის 05 დეკემბერი. ავტორიზებული საქმიანობის სახე: A.F.2 ადგილობრივი დამეხის (უსადენო) ქსელის ელემენტებითა და სამუალებებით უზრუნველყოფა; A.F.3 ძირითადი საკომუნიკაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და სამუალებებით უზრუნველყოფა; B.F.2 ინტერნეტ მაუწყებლობა);
2. შპს „iConnect"-ი, როგორც ავტორიზებული პირი, ვალდებულია შესასრულოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, აგრეთვე კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები;

სწორია
11. 08. 2017

3. შპს „iConnect"-ს, 2017 წლის 3 აგვისტოს მდგომარეობით (გადაწყვეტილების მიღებისთვის), კომისიის წინაშე ერიცხება 1,245.32 ლარის ოდენობის დავალიანება, რაც კომპანიის მიერ კომისიაში წარმოდგენილი ყოველწლიური რეგულირების საფასურის გაანგარიშებების ფორმებიდან დგინდება;

3. შპს „iConnect"-ის, მიმართ ბოლო ერთი წლის განმავლობაში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მასუხისმგებლობის არცერთი სახე გამოყენებული არ ყოფილა.

IV. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები და დასაბუთება

1. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კომისია დამოუკიდებლად ახორციელებს ავტორიზებული პირების საქმიანობისა და ლიცენზიის ან/და წესართვის მფლობელების მიერ რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის რეგულირებას, მათ შორის, نورმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მიღებას, მათი შესრულების მონიტორინგსა და კონტროლს, გამოვლენილი დარღვევებისათვის ამ კანონით გაწერილი უფლებამოსილებების ფარგლებში ამავე კანონითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სანქციების დაკისრებას. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის თანახმად, კომისიის ძირითადი ფუნქციაა ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქმიანობის ავტორიზებისა და სალიცენზიო ან/და სანებართვო პირობების დაცვაზე ზედამხედველობა და მათი დარღვევისას კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება. ხოლო 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია აკონტროლებს ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში განხორციელებულ საქმიანობას, ასევე მათ მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულებას. ამავე კანონის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებულ პირთა მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს კომისია ახორციელებს მუდმივად და სისტემატურად;

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 76-ე მუხლის პირველი ნაწილის ბ) ქვეპუნქტის და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისიაში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია კომისიისათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება ან მინიჭებული უფლებამოსილება - გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი;

3. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია შეასრულოს ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს მთავრობის დადგენილებები, აგრეთვე, კომისიის დადგენილებები და გადაწყვეტილებები, ხოლო ლ) ქვეპუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირი ვალდებულია გადაიხადოს რეგულირების საფასური;

4. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, რეგულირების საფასურის [illegible] ავტორიზებული პირის

სწორია
11. 08. 2017

მიერ განხორციელებული და რეგულირების დაქვემდებარებული საქონლის (მომსახურების) მიწოდების ან/და შესრულებული სამუშაოს მთლიანი ღირებულების (დღგ-ის გარეშე) 0,75 პროცენტი. ავტორიზებული პირები ვალდებული არიან ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, კომისიის დადგენილებით დამტკიცებული ფორმით წარუდგინონ კომისიას ინფორმაცია გაანგარიშებული რეგულირების საფასურის შესახებ და კომისიის ანგარიშზე ჩარიცხონ რეგულირების საფასური;

5. „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესების შესახებ" კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის №12 დადგენილების შესაბამისად, განსაზღვრულია ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული და ვერმო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი პირების მიერ კომისიაში რეგულირების საფასურის გაანგარიშებების წარმოდგენისა და გადახდის წესი, რომლის შესაბამისადაც ავტორიზებული პირები და სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელები ვალდებულნი არიან ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა, ამ დადგენილებით განსაზღვრული ფორმით წარუდგინონ კომისიას ინფორმაცია გაანგარიშებული რეგულირების საფასურის თაობაზე და ჩარიცხონ კომისიის ანგარიშზე რეგულირების საფასური;

6. „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ავტორიზებული პირის მიერ ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, კომისიის დადგენილებებით და გადაწყვეტილებებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების, დარღვევის ან/და ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევის შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია დამრღვევი წერილობით გააფრთხილოს.

კომისიას მიაჩნია, რომ შპს „iConnect"-ის მიერ, რეგულირების საფასურის დაგვალიანების წარმოუდგენლობით დარღვეულია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ზ) და ლ) ქვეპუნქტები და „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების მე-6 პუნქტი, რაც წარმოადგენს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

გამომდინარე იქიდან, რომ შპს „iConnect"-ის მიმართ ბოლო ერთი წლის განმავლობაში „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის არც ერთი სახე გამოყენებული არ ყოფილა, კომპანიას უნდა მიეცეს წერილობითი გაფრთხილება.

V. სარეზოლუციო ნაწილი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ზ) და ლ) ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის, 44-ე მუხლის პირველი პუნქტის, 45-ე მუხლის პირველი პუნქტის, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესების შესახებ" კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე 98-ე და 99-ე მუხლებისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების" 36-ე მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტების შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად

სწორია
11. 08. 2017

გადაწყვიტა:

1. შპს „iConnect"-ს მიეცეს წერილობითი გაფრთხილება „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის ბ) და ლ) ქვეპუნქტების და „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების მე-6 პუნქტის დარღვევის გამო;

2. უზრუნველყოს შპს „iConnect"-მა 10 სამუშაო ვადაში რეგულირების საფასურის დავალიანების - 1,245.32 ლარის, კომისიის ანგარიშზე ჩარიცხვა;

3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა) გადაწყვეტილების შპს „iConnect"-ისთვის დაუყოვნებლივ გაგზავნა;

4. დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტს (ნ. ამირანაშვილი) შპს „iConnect" -ისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე შეტყობინების კომისიის ტერიტორიულ რეესტრში შეტანა;

5. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი დამოწმებული ასლის შპს „iConnect"-ისათვის ჩაბარების დღიდან;

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.; N6) გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში;

7. კოტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე (გარდა მე-3 და მე-4 პუნქტებისა) დაევალოს კომისიის აპარატის საფინანსო-სასაუნტო დეპარტამენტს (ნ. დევდარიანი).

კომისიის თავმჯდომარე — კასიანეს ურო

კომისიის წევრი — ვახტანგ ახალაძე

კომისიის წევრი — ელისო ასანიძე

კომისიის წევრი — გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი — მერაბ ქათამაძე

სწორია
11. 08. 2017
ნ. ...